

კვირა, 17 დეკემბერი,
1917 წ.

კანტორა „განათლების“ აღმასი:
თფილისი, ოდღას ქუჩა, № 6.

შ ა ს ი 35 კ ა ვ.

კანტორის აღმასი: ელჩაბაძის ქუჩა, № 139. ტელეფონი 18-17.


განათლება № 50

1917

ნაგებობა II-ის მომზადება
მომზადებისათვის

კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა გენ. პრეფერალ-სკიმ განცხადება შეიტანა ამიერ-კავკასიის კომისარიატში, გამოცხადებულ იქნას საერთო მომზადებისათვის ადგილობრივ ერებისა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).



ოჯახის ბურჯი. მაშინ კი გადავრჩი, ქალო, მაგრამ ახლა უეჭველია მომინწევს.

მეშმაკის მათრახი

„ეშმაკის მათრახის“ დღენი დათვლილია! კიდევ ერთი კვირა და იმისი უკანასკნელი წუთიც დაჰკრავს! ახალი წლიდან ჟურნალი აღარ გამოვა.

მომენტი ერთობ ტრადიკულია.

რა მოხდა?

შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ჩვენ უკვე მივალწიეთ ჩვენს იდეალს, ვინაიდან რუსეთის მთელ თვალუწვდენელ სივრცეზე გამეფებულია ჯოჯოხეთი და ამისთვის შეგვეძლოს წარმოთქმა: „აწ განუსვენე... და სხვა. არა. ჯოჯოხეთს ჩვენ კიდევ უკეთესს მოველით.

შეიძლება ეს სამწუხარო ამბავი ჟურნალის თანამშრომელთა გაგულგრილებით ახსნათ. მართალია, ეს გულგრილობა ერთობ საგრძნობი შეიქნა რედაქციის ხელმძღვანელისათვის, მართალია ისიც, რომ ამ გარემოებას უმთავრესი გადაწყვეტი ხასიათიც შეიძლება მიეცეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა საბედისწერო.

აქ საბრაკო სიძვირებდაც შეიძლება სიტყვა ჩამოვადოთ. მარტო ცარიელა ქალღი, რომელზედაც „ეშმაკის მათრახი“ იბეჭდება ფურცელი 20 კაპ. გახდა. ცარიელი ქალღი ერთი აბაზი! რაღა უნდა დაჯდეს მაშინ დახატული, დაწერილი, აწყობილი და დაბეჭდილი ნომერი ჟურნალისა? მართალია, ჭკვიანი ხალხის თქმისა არ იყოს, ერთი მსხალი, გინდ ერთი ვაშლი ერთი მანეთი და ზოგჯერ გაცილებით მეტიც ღირს, მაგრამ ვაშლი საქმელია და „ეშმაკის მათრახი“ ხომ არც იქმევა, არც ისმევა და არც ტანზე ჩაიცმის.

ცალ ცალკე თითოეული მიზეზთაგანი თითქო არაფერია, მაგრამ ყველა ერთად აკინძული ისეთ გარემოებასა ჰქმნის, რომლის წინაშე უნდა დაკეცო მათრახი და ელოდო უკეთეს მომავალს.

ჩვენც ასე გადავწყვიტეთ.

რედაქტარი: ეშმაკი.

თუკუნა?

გამამცემენი: { ა. ბუკია
ე. ლომთათიძე
ს. თავართქილაძე.

ჩვენი ოცნება.

მე და ჩემი მეგობარი, გერასიმე, პურის შესახებ ერთობ ხელ გაშლილი ვიყავით.

და განა მართა პურის შესახებ? არა. ჩვენი ყოველდღიური სადილი მთელს კოლექციას წარმოადგენდა სხვა და სხვა გვარი საქმელებისას.

მაგრამ პური განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია.

მე დღეში მჭირდა საშუალო რაოდენობით 2-3 გირვანქა პური, ხოლო გერასიმეს ცოტა მეტი, ასე 6-8 გირვანქამდე.

ღილით ვვამდით ოთხ გირვანქას, სადილათ ხუთს და საღამოს კიდევ სამს, თუ რასაკვირველია ბოტანიკურ ბაღში, ან სხვაგან სადმე მოგზაურობით მაღა გავლიძებული არა გვქონდა.

ჩვენი ბინის გვერდით მოვაკრე მეთორნე რაჰველებს დარწმუნებული ვარ ჩვენს თანა მუშტარი ბევრი არა ჰყოლია და არც მიკვირს ჩვენს დანახვას მუდამ ბედნიერი ღიმილით რისთვის ხდებოდა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ, როგორც მე, ისე გერასიმეც, მუდამ ვემდუროდით ჩვენს გამამწარებელ კუჭებს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რარიგ გამოიხეზებული და განებვირებული ისინი ჩვენა გვყვნდა.

— იცი, ცოტა კუჭი მტკივა... იტყოდა ხოლმე გერასიმე ნალვლიანი კილოთი სადილის შემდეგ.

— ნეტა რა მიზეზი უნდა იყოს?

— მე მგონია პურის ბრალია. საკმარისია ერთი ფინჩა შავი პური ჩამცდეს, რომ მაშინვე კუჭს ამიჯანყებს.

— მერე სად ნახე შავი პური?

— ალბათ ერია ცოტა. არ შეიძლება რომ არ შემეტყობინოს, თუნდაც ერთი ციკკა ერიოს.

ასე ვიყავით გამწარებული ხან მე და ხან კიდევ ის.

სწორეთ ამ ხანებში დაიწყო საერთაშორისო ომი. სიმართლე მოგახსენოთ, იმდენათ ვიყავით აღელვებული ამ გარემით, რომ ახლა არც კი მახსოვს როგორ გავატარეთ ჩვენ სურსათის მხრივ პირველი წელი ომისა.

მახსოვს მხოლოდ ერთი ტრადიკული დილა. გერასიმე აღელვებული შემოვიდა ჩემს ოფისში და ღრმა მწუხარების გამომხატველი ხმით განაცხადა:

— იცი, ევრსად თეთრი პური ვერ ვიშოვე.

მთელი ეს უბნები მოვიარე და აღარავის არა აქვს.

თავხარი დამეცა და ძლივს წავილულულულე:

— ნუ თუ, აღარ არის...

— ცოტა მოწითალო კი არის, მაგრამ...

— ახლა მოწითალო პური მაქამე, ესლა მაკლია სწორეთ!

— კარგი, მაგრამ უქმელი ხომ ვერ დავრჩებით; წავალ ისევ, მითხარ რამდენი ვიყიდო.

— ბევრი ნუ გინდა, იყიდე ათი გირვანქა. ხვალ ალბათ ისევ თეთრი პური იქნება.

დიდის გაბედულებით მოვკიდეთ ხელი ჩვენს წმინდა მოვალეობას და თითოეულ მოზრდილ ლუკმასთან ერთად გულის ფანცქალით ვადვენებდით ყურადღებას კუჭის მდგომარებას. საწამლავს უფრო გაბედულათ დაღვეს ადამიანი, ვიდრე ჩვენ ამ წითელ პურს შეგვეცუოდით.

— ეე! წამოიძახა გერასიმე, როცა მეოთხე გირვანქა თბილი მოწითალო ნაჭრისა ყუყუხე მიაყენა.

— რა ამბავია? ვკითხე მე შიშითა და გულის ფანცქალით.

— მუცელმა დაიყურყურა!

— დაიყურყურა? იქნებ მოგეყურა კაცო?

— მომეყურა რა, ერთხელ იყო თუ?

— ღმერთო ჩემო, რაღა გვეშველება ეს თუ ვგრე ვაგრძელდა?

— რას ამბობ კაცო? ღმერთმა დაიფაროს... ომი ამ ერთ თვეში უთუოდ გათავდება.

ომის მეორე წელი მიწურულში იდგა. სურსათი სანოვანე თითქო გაკვირდა. ჩემი ნაცნობები ყველანი სულელებათ სთვლიდნ თავს, რომ საჭირო ნივთები შარშან არ იყიდეს და ახლა ორიწილი ფასის მიცემა უხდებათ. ამ საერთო უკმაყოფილებით გამოფხიზლებულებმა, მე და გერასიმემ ერთი პაჩა ლაპშინის სპიჩა შევიძინეთ და სტოლის უჯრაში შევიწინათ.

— კაცო გაგონილა ასეთი ამბავი?

— რა მოხდა? გაარღვიეს?

— არა, პურის შესახებ გეუბნები. აბა ერთი შეხედე რასა ჰგავს.. ამასაც წითელ პურს ეძახიან!

— სახელს რა მნიშვნელობა აქვს. მართალია გითხრა წითელი არ დაერქმევა, მაგრამ არც შავი შეგვიძლია ვუწოდოთ. რამდენი იყიდე.

— ცოტა.

— მაინც?

— ექვსი გირვანქა.

— ახირებულია ღმერთმანი, თუ კუჭის ტკივილს გადაფურჩით შიმშილი მაინც მოგვკლავს. ამაზე ითქმის „წახ წყალი, უკან მეწყერიო.“

— გუშინ მთელი დღე გულის ფანტაზიის მქონდა გამიზნო გერასიმენი.

— გულის რატომ?

— ღოგორ თუ რატომ: გულს კუჭთან მჭიდროდ კავშირი აქვს.

— აჰა!

— მეტი გზა არ არის სადილი სახლში უნდა ვაკეთოთ.

— რა ამბავია, რა მოხდა?

— რა მოხდა და ათშაურიანი სადილი ოთხი აბაზი გახდეს.

— ვაკეთოთ! მე საწინაღმდეგო არაფერი მაქვს.

ჩვენ დავეწყეთ სახლში სადილის კეთება. ენა ვერ გამოსტევა ის გასაჭირს, რაც ჩვენ ერთი ზამთრის განმავლობაში გამოვიარეთ. შევიძინეთ ყველაფერი საოჯახო ნივთიულობა და მასთან ერთად გაჩეჩილადის მიერ გამოცემული სამზარეულო წიგნი.

ჩვენს ღირსებას უმთავრესად ის შეადგენს, რომ ბრმად არაფერს არ მივსდევთ, ავტორიტეტი არავის არა გვწამს, მით უმეტეს გზაგარეულებისა და საკუთარის გზით, ჩვენი გემოვნების მიხედვით ვაწყობთ საჭმელების კეთებას. „ქეშაკის მათრახის“ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, ჩვენ მიერ „ყაუ-რმის“ მომზადების ამბავი და სხვებით თავს არც ახლა შეგაწყენთ.

ის ის იყო მე ჩამოვდგი ცეცხლიდან მოჩუხჩუხე ქვაბი ინტერის საცივისა და გავადე სამზარეულოს კარები, რომ აუტანელი ჰაერი ძმრისა და წიწაქის სუნით გაჟღერებული ცოტად შენელებულიყო, რომ აივანზე გერასიმე ამოვიდა ერთობ დაღვრემილი და გაბრაზებული.

— რა მოხდა, კაცო?

— რა მოხდა და მათი ოხრობა. შეხედე აბა, განა ეს პურია?

— ეჰე!.. კაცო რატომ გუშინდელივით წითელი არ წამოიღე?

— თუ იშოვებოდეს კი წამოიღებ შენმა მზემ.

— რა გაეწყობა. გუშინ „საქართველოს“ მიმოხილველი ომის გათავებაზე სწერდა. ალბათ ამ ერთ თვეში გათავდება.

— ერთ თვეს თუ ასეთი პური ევამეთ ჩვენი კუჭის ნაშთიც აღარ დარჩება.

— ეგ არის და! აბა რა ექნათ. უჭმელი ხომ ვერ დავრჩებით. ამდენი რა წამოვიღია რათ გინდოდა?

— რაღა ამდენია, კაცო, სამი გირვანქა არის.

— პაი გიდი თეთრო პურო! სამი გირვანქა მარტო შენ გინდოდა.

— გახსოვს შარშან რა დროება იყო?

— ჯა! მახსოვს რა ძველი ამბავი ისა გგონია?!

საერთაშორისო ომის სამი წლის იუბილე შესრულდა. ყველაფერს ფასი დაედო, გარდა ადამიანის სიცოცხლისა. ათასი მოქალაქე გამდიდრდა ტყეში და ლობიოს პოდრიადებით. ათასი ახალი სიტყვა შემოვიდა სახალხო ხმარებაში. ყველაზე მეტი პოპულიარობა სიტყვა „სპეკულაცია“ მოიპოვა. მთელი სიმდიდრე მიწაში ჩამარხა.

— ეგრე ნუ ჰამ, კაცო, გასტეხე და ჩაჰხედე შიგ, შეგნისა გერასიმენი.

— ჩავენდო რა ოქრო—ვერცხლის არვინ ჩააწყობდა.

— ოქრო ვერცხლს არ ჩააწყობდნენ, მაგრამ ჯოხი, მჭვარი, ლურსმნები და სხვა და სხვა მანევ მწერები კი უხვად არის. აი შეხედე?

გერასიმე გამომიწოდა ტალახის მაგვარი პურის ნატეხი, რომელშიაც მძიმე ტანჯვასა და მწუხარებაში ჩამცხვარიყო სრულიად ნორჩი თავისი ბახალა.

— აი რა უდროოთ მოუკლავთ ეს უბედური! მწუხარებით წარმოსთქვა გერასიმე და ნაქერი განზე გადასდო.

— მაგას კიდევ არაფერი უშავს, სიამაყით შეენიშნე მე, საქმე აი ეს არის! და გავუწოდე მეგობარს ჩემი აღმოჩენილი სათვალის ნატეხი შუშა,

რომელიც ბროლივით ელვარებდა შავი პურის სივრცეზე.

— ჰოდა, აი ამიტომ გეუბნები თვალ—ყური აღდევნე მეთქი, მზრუნველობით მომიგო გერასიმე.

— სათვალეები ამ მამაცხონებულს შიგ ჩაუყარია და როგორ უნდა ვაღვენო თვალ—ყური. ხვალ ამდენს ნულა მოიტან. ხომ ხედავ დავგრა,

— კი მოიტან თუ მოგცემდენ. დღეს ორი გირვანქა დიდის ხათრით მომცეს.

— ორი გირვანქა ორ კაცს?

— ასეთ. ხვალღიდან პური ბარათებით იქნება.

— ბარათით იყოს.

— კი მაგრამ იქ რატო გიწერია იმაზე მეტს არ მოგცემენ.

— მეტი ჩააწერე, კაცო.

— შენ ნება რომ იყოს კარგი დაგემართოს, მაგრამ მელიტონ რუსია ამ კეულზე არ არის.

ბარათის სისტემასაც შეეწივით. მელიტონ რუსიას სახელ გვარმა პირდაპირ თვალები ამისიორა. წელიწად ნახევარია გერასიმეს კუჭი არ უხსენებია. „გაჰივრება მიზევენ, გაქცევას გიჩვენებო“ უთქვამს ვილაკა მხდალს. ჩვენი კუჭები თითქო შევიდნენ ჩვენს შიძიმე მდგომარეობაში. განსაკუთრებული თავდადებულობით ეგუებოდნენ გარეშე პირობებს. რას მიქვია მიზეზიანობა და საყვედურები! არა თუ პურის ფერსა და ღირსებას, მის რაოდენობასაც აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევენ. სხედან წყნარათ, მშვიდად წმინდა ქრისტიანობრივი სულგრძელობით და მოთმინებით აღჭურვილნი. ყველაფერს ვიფიქრებდით, წარმოიდგინეთ იმასაც, რომ ომი სამ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ თუ ჩვენი კუჭები ასეთ სიმტკიცეს გამოიჩენდნენ, ეს ჩვენთვის ყოველად შიუწვდომელი იყო.

— დღეს თითო კაცს $\frac{3}{4}$ გირვანქა პურს ამღევნენ განაცხადა გერასიმემ ორშაბათ დილით და დიდის მოკრძალებით გახსნა სათუთად შეხვეული პატარა ნაჭერი პურისა.

— ეს რამდენია?

— გირვანქა ნახევარი, ჩვენ ორის ულუფაა. გერასიმემ პური თეთრ ქაღალდზე დასდო, თითქო ამით სურს განსაკუთრებული მისი სიზავე ამოაჩინოს, სწორეთ შუაზე დაადო დანა და გა-

სჭრა ისე, რომ ერთი პატარა ფინჯი არსად გადავარდნილა.

— აიღე რომელიც გინდა!

— სულ ერთია ჩემთვის. შენ ღირჩე და აიღე. მე ვიცი, რომ გერასიმე ცოტა მორცხვი კაცია და უდიდეს ნაჭერს არასოდეს არ აიღებს. ასეც მოხდა. დარწმუნებული ვარ ჩემი წილი ორი მისხალით უფროსი მაინც იქნებოდა.

— პურის საქმე ვერ არის კარგათ! დარბაისული კილოთი მითხრა გერასიმემ.

— მოუკლეს?

— მოკლება არაფერია სულ თუ არ მოისპო.

— რატომ, კაცო?

— ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს ერთ-მანეთში შეტაკება აქვთ.

— მერე?

— მერე და ჩხუბია.

— მერე?

— მერე და მერე. ვერ გაიგე, რომ გზები შეიკრა?

— დღეს რამდენს ამღევნენ?

— დღეს გირვანქის სამი მერვედია სულზე და ხვალ ორი მეცამეტედი იქნება მგონი.

— გაუძლებთ. რესპუბლიკები ომს აღბათ სამ თვეში მაინც გაათავებენ.

— სამში როგორ არ გაათავებენ.

მას შემდეგ მეცამეტე დღე მიდის, პურის ულუფა მისხლამდე დავიდა. არა თუ თავს, კუჭსაც მშვენიერათ ვგრძნობთ. გერასიმე, როგორც წვერი სასურსათო დარწმუნებულებისა, ზეირათ მანუგეშებს ხოლმე სხვა და სხვა არა საიმედო ხმებით, ომის გათავების შესახებ უსაქმურთაგან გავრცელებულით. მან აქ იცხ, რომ ეს იმედი ჩემთვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ვინაიდან ჩემი ოცნება სულ წინაღმდეგს, სახელდობრ ომის გაგრძელებას მოითხოვს. ჩემს საილუმლოს არა თუ მას, თითქმის ჩემს თავსაც ეუშაღავდი დღემდე. დღეს კი დასამალი აღარაფერი მაქვს. არა მგონია ამ ორ სამ დღეში ისე შეიცვალოს გარემოება, რომ მან აენოს რაიმე ჩემს ოცნებას.

დღეს ოთხშაბათია. ჩვენ ორი მისხალი პური დაგვამაყუფილდა. ხუთშაბათს ერთი მისხალი გვერ-

გება, ხოლო პარასკევს სრულიად ავიღებთ ხელს პურის ქამაზე. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამას ჩვენ მოვახერხებთ და საფსებით გადავგვევით ქამას. იმ უზომო ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, რასაც საზოგადოთ ქამა-სმა იწვევს, მარტო ის რათ ეღირება, რომ ამ აუტანელ სიცივეში ჩვენ იძულებული არ ვიქნებით ფურჩის წინ გაქიმულ კულებში ერთი სანთლის მაგიერობა გავსწოთ.

თუ თანდათანობით განვითარებას ბუნებაში რაიმე მნიშვნელობა და საფუძველი აქვს, ყოველივე ექვს გარეშეა ჩვენც უნდა გადავეჩვიოთ ამ უმსგავსო ჩვეულებას.

ეშმაკი.

იყოს შეუძლებელ ჰყო. იმისდა მიხედვით, თუ ვის რამდენი ღვაწლი მიუძღვის დღევანდელ რევოლიუციში, წარმართებაც იმზომ მიანიჭა

ა) თავადებს არაფერი გაუყვებიათ, ამიტომ მათ არაფერი აღარ მისცა.

ა) აზნაურები ცოტა რაღაცას მაინც აკეთებდნენ; ამიტომ ერთი საფეხურით ასწია და თავადებს გაუთანასწორა.

გ) გლეხები, როგორც უმთავრესი მამოძრავებელი ძალა და ბურჟი რევოლიუციისა ორი საფეხურით აღმადლა და გაუთანასწორა თავადებს.

ამგვარათ, ჯოჯოხეთში დღეს არსებობს ერთადერთი წოდება თავადობა. არავის არაფერი არ დაუკარგავს და თანასწორობა კი დამყარდა.

ეშმაკის დამკრებიები

დამკრები № 8

ერთ ჩვენი, ძენი ჯოჯოხეთისანი, დაუოფელ არიან წოდებუთ. არიან გლეხნი, აზნაურნი და თავადნი. ისტორიული მოვალეობა გვაძულებს ჩვენ მოვსოთ ეს წოდებრივი სხვადასხვაობა ერისა ჩვენისა და სწორ ვქმნათ ისინი. მისა გამო ვაცხადებთ ცნობად უოველთა, მოსზობილ იქმნას წოდებათა სხვადასხვაობა და ებოძოს უოველთა მოქალაქეთ თავადობა.

ეშმაკი

არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წოდებათა მოსზობასი არა ერთი და ორი სახელმწიფო მოღვაწე ცდილობდა ეს აქტი მოეხდინა თავისს საბრძანებელში, მაგრამ დღემდე ბევრს არ გაუღიმა ბედმა. მის განხორციელებას უმთავრესად ის გარემოება უშლიდა ხელს, რომ ამ ყოვლად სასარგებლო აქტის გამოცხადების შემდეგ ყოველთვის რჩებოდა ერთი უმადური მხარე. უმადურთა რაზმს რასაკვირველია წარჩინებულნი წოდებანი წარმოადგენდნენ, რაც ხშირათ იწვევდა სამოქალაქო ომს. ამისი მაგალითი თქვენ თუ არ გახსოვთ ისტორიას მოჰკითხეთ. იმან იცის რამდენიც გნებავთ.

ამხ. ეშმაკმა აქაც ბრძნულათ განსაჯა და უქამყოფოლებს გამოცხადება, ვისგანაც ნდა

დამკრები № 9

„გინადან ჩემდამო რწმუნებულ სამთავროს გაჭარბეწველთა თავკასულობას სსლდარი არ უხანს.

გინადან ცხოვრება დღითი დღე გასაჭირი სდება და ხაღსს სომოვნება აკლდება;

გინადან ქრთამითა ღა ნათლი მამობით არა ერთი და ორი მოქალაქე სარტყლობს და

გინადან ამისი კვლავ უუურადლებოთ დატოვება ჩვენი გულდრობის გამოჰსატველი იქნებოდა კეთილ ვინებეთ და გბრძანეთ:

გაიფიდას:

1) თეთრი პური	1	გირ.	3 1/2 კაზ.
2) სორცი ცხვრისა	1	„	5 „
3) „ ძრახვისა	1	„	3 „
4) „ ღორისა	1	„	4 „
5) ზუთის	11	„	1 „
6) ღოჭი	1	„	7 „
7) ხიზილალა . . .	1	„	60 „
8) უეჭი ქართული .	1	„	9 „
9) „ შვეიცარული .	1	„	12 „
10) კაჭი	1	„	11 „
12) ინდოური . . .	1	ცალი	25 „
13) ქათამი	1	„	17 „
14) ბატი	1	„	15 „
15) გოჭი	1	„	40 „
16) ჩექმები	1	წველი	4 მან.
17) ფესსადმელი ქალისა მაღალ ქუსლიანი და მაღალ ყელიანი	1	წველი	7 მან.

18) კასტიუმი ინგლისური მატ.	სიზაფსულო,	
კაცის	13	მან.
19) იგივე ქალის	7	"
20) საზამთრო კასტ.	მალტოთი	17
21) შეშა რტნილისა	1	საყენი 5
22) " წიფლისა	1	" 3
23) შაქარი	უფასოთ.	
24) ღვინო		
25) ხაჭაპური		

და სხვა სანთავაჟე შესაფერად ამისა.

ეშმაკი.

წაიკითხეთ და დასტკბით. დასტკბით არა იმით რომ ხელიდან შეგეძლევათ ყოველივე საჭირო სანთავაჟე ხელსაყრელ ფასებში დაგეთმოთ, არამედ დასტკბით იმითი, რომ გაიგეთ თუ როგორი მამობრივი მზრუნველობით იღწვის თქვენს შესახებ საღმერთებელი ჩვენი დიქტატორი ამხ. ეშმაკი, რა გამოარჩა მის შორს მჭერეტელ თვალებს? მხოლოდ სპიჩკა, მარილი და საპონი. დანარჩენი ყველაფერი უკვე თქვენ ხელთ არის, ვინაიდან მის მიერ ჩვენდა საბედნიეროთ დაწესებულია ეს შესანიშნავი სოციალისტური ნიხრი.

ჩვენი სასურსათო კომიტეტები ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივიან, როცა ამხანაგი დიქტატორის მეცხრე დეკრეტს წაიკითხავენ, მაგრამ არა უშავს: უმჯობესია რამოდენიმე ჯგუფის კეთილდღეობა დაირღვეს, ვიდრე მთელი ერის სასურსათო დეკრეტი ეს დეკრეტთა დეკრეტია და მისი ბადალი ჯერ ქვეყნიერობას არარა ახსოვს.

დებარები № 10

ვინაიდან სკრძნობდად გასჭირდა სურდა ფულის და ზრეთვე უოვედგვარი ქაღალდის ფულის შოვნა, სოლო ეს გარეშება კი აფერსებს ვაჭრობა მრეწველობის საქმეს, სჭირდად ვსცან ჯოჯოხეთის უოველმა უბანმა, სადაც კი იშოვება საბეჭდი მანქანა, გამოსცეს საკუთარი ქაღალდის ფული ვისაც, რამდენი უნდა. საქმის გასაადვილებათ შეიძლება გაკეთდეს უბრალო ბეჭდები (გინდა საპონისა) და იმით დაიბეჭდოს. ეს უკანასკნელი საშუალება სეღმისაწვდომი იქნება უმთავრესად პერძო ოჯახებისათვის.

ეშმაკი.

ფინანსიურ უძღურებას და არევ—დარევას დღეიდან ბოლო ედება. ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა ზე ის ფულები

რა ღირსებისაც და რამდენიც უნდა. არავითარი შევიწროება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის. ამით რასაკვირველია ისპობა ძირითადი საკითხი მდიდრებისა და ღარიბების შესახებ. ყველას შეუძლია დაბეჭდოს მილიონების ქაღალდი და ამ რიგათ უზუნველჰყოს თავისი ცხოვრების მატერიალური მხარე.

რაც დღე მოდის, მით უფრო და უფრო მეტი ყურადღების დეკრეტებს მიაწვდის ხალხს პატივცემული ამხანაგი ეშმაკი, თუ რასაკვირველია დამფუძნებელმა კრებამ მომავალში ხელი არ შეუშალა მის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

დებარები № 11

ხალხის კეთილდღეობა ვალად მდებს ყურადღება მივაპყრო სახელმწიფოში არსებულ "კულებს" და აღვკვეთო მათი არსებობა, ვინაიდან:

- ა) "კულებში" დგომით ხალხი იღლებს.
- ბ) ცივდება და
- გ) კონტრ-რევოლიუციონერდება.

ამიტომ, რათა სრულიად აღმოიფხვრას მოქალაქეთა მესხიერებიდან სახელი ამ არა ნორმალურ მოვლენისა, ვაცხადებ:

- 1) მოისპოს ადამიანთა მიერ შექმნილი "კულები" ყიველგვარ დაწესებულებათა წინაშე.
- 2) მოეჭრას კულები ყველა შინაურსა და გარეულ კუდიან ცხოველებს.
- 3) დატყვევებულ იქმნას ის პირნი, რომელნიც სხვათა კულებათ ითვლებიან.
- 4) აეკრძალოს მწყრივთა ქუჩაში სიარული ინსტიტუტებს, სალდათებს და ზეცაში ამგვარივე ფრენა წეროვებს.
- 5) წინადადება მიეცეს ასტრონომებს, რათა არ შემოუშვან პლანეტთა ჩვენს სისტემაში რომელიმე კუდიანი ვარსკვლავი.

ეშმაკი.


აი დეკრეტი! აი დეკრეტი განსაცვიფრებელის გულდასმით და სამართლიანობით დამუშავებული, ვის გულს არ ესაღბუნოს თითოეული იმისი სიტყვა, თითოეული იმისი მუხლი? დეკრეტები მრავლის უმრავლესი იწერება, მაგრამ ეგზომ სრული, ეგზომ სალი და ყოველმხრივად უნაკლულო ჯერ არავის მოსწრია.

ისტორიკოსი.

ამიერ-კავკ. ქალაქთა კავშირი.

ამ ორიოდ დღის წინეთ (1 დეკემბერი) თფილისის მოურავმა ნიკო ელიაშვიმ გახსნა ამიერ კავკასიის ქალაქთა მოურავების დამფუძნებელი კრება.

დემოკრატიული თავები ჩვენი ქალაქებისა ერთობ სასურველ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. მარცხენა მხარე კრებისა უჭირავს უფრო დემოკრატიულ ნაწილს. აქ დაინახავთ ბუმბერაზ თავს პატარა გორისას, სერგოს რობაქიძეს; მშვენიერის წვერით გულ, დაფენილს მშვიდსა და მომლი-



დიმიტრი კალანდარიშვილი.
(ქუთაისის ქალაქის მოურავი)

შარ თავს ქალაქი ქუთაისისას. წარბ აყრილსა და ოდნავ ცხვირ მოზნეკილ სოხუმის მოურავს ბენია ჩხიკვიშვილს; წყნარსა და მორცხვ ფოთის თავს დათიკო ონიაშვილს; შავ უღვამ გადგარებულ ბათუმის თავს კოწია საბახტრიშვილს. და აგრეთვე სხვა მრავალთ.


მარჯვენა მხარე უჭირავთ სოციალისტ რევოლუციონერთ, დაშნაკ ციუტუნებს და მუსულმანთა



კონსტანტინე საბახტარიშვილი.
(ბათუმის ქალაქის მოურავი)

წარმომადგენლებს. თავმჯდომარეობს კრებას ნიკო ელიაშვი, რამოდენიმე ამხანაგითურთ.

(დაწვრილებით შემდეგ.)



არშაკ ბაბოვი.
(სომეხ პანჩაყისტთა ლიდერი)

ქართული ეროვნული ურთიერთობა



სასტი შ. ქიქოძის. (იგინის) სასტი ეშმაკის. (არ იგინის).
აკაკი ხოშტარია.
(ერთი უწარჩინებულესი ქართველ მრეწველთა შორის.)

ამიერ კავკასიის კომისარიიტი.


„ეშმაკის მათრახის“ მკითხველნი ერთობ განკვირებულნი იქნებიან, როცა ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთებში წაიკითხავენ დეკრეტებს სხვა და სხვა საჭირო, მაგრამ ეშმაკისა და ღენინისაგან უკვე მოგვარებულ საკითხთა შესახებ, რომელსაც ზეგს აწერს „ამიერ კავკასიის კომისარიიტი“.

— ნეტავ თუ ვინ არის ეგ კომისარიიტი? იფიქრებს ჩვენი მკითხველი და ამ დაფიქრებისათვის ჩვენი რედაქცია ბოდიშს იხდის მის წინაშე.

მიზეზი ბოდიშისა ის გახლავთ, რომ ჩვენ დროზე ვერ გაგაცანიით ეს ახალი დაწესებულება, რომლის ცნობა დაიხატა საგაზეთო ყველასათვის.

„ამიერკავკასიის კომისარიიტი“ დაიბადა მას შემდეგ, რაც რუსეთი ბალშევიკებმა აიღეს, ხოლო დონი და ყუბანი ყაზახ რუსებმა. დაიბადა ის სრულიად მოულოდნელათ, ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლში. დიმიტრი დონსკოი, რომელმაც ითავა მისი ზეგობა უკვე ისტორიულ პიროვნებათა იქცა. მოხსენება იმისი ერთხმად იქნა მოწონებული ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციით, წარმოადგენლენისაგან, გარდა ბოლშევიკებისა.

მათი სახელით ილაპარაკა მიხა ცხაკაიამ და




მიხა ცხაკაია.
(თფილისის ბალშევიკთა ლიდერი)

კონტრ რევოლიუციონურ დაწესებულებათ აღიარა იგი.

სოციალისტ რევოლიუციონერთა მხრით ტკბილ სიტყვა წარმოსთქვა ლუნაკევიჩმა და ილია ქარცივაძემ. ორივე ორატორი, იცავდა ამიერ კავკასიის გამოყოფას.



ბ-ნი ლუნკევიჩი.



ერთი დიპლომატთაგანი.

(რომელიც ღრმა ჩაფიქრებით უცქეროდა ორატორებს და ალბათ ფიქრობდა: — დასწყევლოს ღმერთმა, ერთი თავსატეხი ქვეყანა კიდევ გაგვიჩნდაო.)



ილია ქარცივაძე.



სამხედრო ლოჟა.

მარჯვენაზე ზის ფრონტის მთავარსარდალი გენერ. პრეველსკი. შვავზე ორი სხვა სამხედრო პირი, ხოლო მარცხნივ ორი წევრი ყოფილი „ოზაკომისა“.)

კრებას დაესწრენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და აგრეთვე სამხედრო მთავრობა ამიერკავკასიისა.

დასასრულ კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას, ერთხმად მიიღო მოხსენების საფუძველი და აი ამ საფუძველზე, შემდგომად

რამოდენიმე დღისა აღმოცენდა ადგილობრივი, ამიერ კავკასიის მთავრობა, ანუ კომისარიატი.

კომისარიატის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ევგენი გეგეჭკორი. აი ეს კომისარიატია, რომელიც ამხ. ეშმაკს ეცილება დეკრეტების ცემაში. ვნახოთ!*)

კოლო.

სახსრობელაზე

I

სადაც კრუხ-წიწილთ დაიგულებენ,
იქ სადავლოთ ჰფრენენ ქორები
და იქ-კი, სადაც მუშა ხალხია,
თავს მოიყრიან მუქთა ხორები.

მაგრამ რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცით,
ხალხს თუ საღი აქვს ქუა-გონება,
მაშინ ძნელათ, თუ ხელში ჩაიგდონ
მუქთა-ხორებმა მათი ქონება.

ამიტომ მეფე მუდამ სცდილობდა,
რომ აეცდინა ესე სიძნელე
და დაევალო სამღვდლოებას
რომ შეეტანათ ხალხში სიბნელე,
რომ მღვდლების სიტყვებს უფრო ჰქონოდა
რისიანობა და მეტი ძალა,
სულ მუდამ ღმერთი ეკერათ პირზე
(ეს იყო მათი მძლავრი მასალა!)

*) რაღა ვნახოთ! სამწუხაროთ ჩვენ იძულებულად
ვართ შევსწევით არსებობა, ხოლო იგინი რჩებიან!

ისტორიკოსი.

რაც თვითონ სურდა, მას ჰქადაგებდენ
ისე კი ვითომც ეს ღმერთს ებრძანოს;
მეფე ვითომც ღმერთს ეკურთხებინოს
და ხალხის მამათ გამოეგზავნოს.

ყველგან: შინ, გარეთ, თვით საყდრებშიაც
მღვდლებს მეფის ქება უყვარდათ ხშირი...
ხალხს ისეთ აზრებს ასმენდენ, — თითქოს
მეფეს ჰქონოდათ ღმერთთან კავშირი.

და რასაც მეფე ხალხს უბძანებდა
ვითომც ყველა ეს თვით ღმერთს ნებავდა,
მით სარგებლობდენ მუქთა ხორები,
სულ მათ მიჰქონდათ, რაც ხალხს ებადა.

და ამგვარ ხერხით გატყავებულ ხალხს
ძლივ-ძლივს-და სული კბილით ეჭირა
მაგრამ აქ მღვდლები მიჩნეილ-იყვენ,
რომ ხალხს სიმწვავეთ არ დაეყვირა.

და რომ სიჩუმით გადაეტანა
ეს სიღარიბე და გასაქირი,
მღვდლები ხალხს „წამალს“ მიაწოდებდენ
და ეს „წამალი“ არც იყო ძვირი.

ძვირი არ იყო, რადგან ის მხოლოდ
ლიტონ სიტყვებში იხატებოდა:
ვითომც სამოთხეს დაიმკვიდრებდა, —
ღარიბ-ღატაკთ ვინც მოკვდებოდა.

და ზიდარი კი სასუფეველში
შესვლას ძნელათ თუ ეღირსებოდა,
სწორეთ იმ ჭვარათ, როგორც აქლქში
ნემსისა ყურწში ვერ გაძვრებოდა.

და ამაების მზგავსს ჰქადაგებას
მღვდლებისგან ხალხი მრავლათ ისმენდა
და სიღარიბეს შიმშილს, სიტიტვლეს
ძირს ქედ-წაბრილი ღიდხანს ითმენდა...

II

ბოლოს ძლივს ხალხმა აღდგო აუღლო
სამღვდლოების დაგებულ მახეს,
რომ „მტყუნან მიცვეთ თვით კარებამდე“
აწ-კი დროაო! — წამოიძახეს.

აბა, გავშინჯოთ, თუ მართალია, —
სამღვდლოება რასაც ჰქადაგებს:
თუ მართლა მდიდრებს წაწყმენდა ელისთ
და ცხონება კი ღარიბ-ღატაკებს; —

მაშ, აბა თვითონ სამღვდლოებას
სულ სიმდიდრეში რათ უყვარს ცურვა?

თუ კი სიმდიდრე წამწყმედელია,
მან ეს სიმდიდრე რისთვის ისურვა?!
ან თვითონ მეფე რისთვის მდიდრდება,
რატომ წაწყმენდის არ ერიდება,
ჩვენგან წანალექტ იმ მილიონებს
თავის ბანკებში რათ ეზიდება?!
რათ სთვლიან მეფეს ღვთისგან ნაკურთხათ?
ან თუ იგი ღმერთს გამოეგზავნოს, —
ნუ თუ მეფისთვის ხალხის დარბევა
და ტყავის ძრობა თვით ღმერთს ებრძანოს?!
რასაც კი მღვდლები ჩაგვჩიჩინებენ, —
თუ გვეგონება ყველა მართალი,
ამით ღმერთს როგორ შეგვაყვარებენ,
აბა, აქ სად სჩანს ღვთის სამართალი?!
და ან თუ მეფე ხალხის მამაა, —
მამა ხომ ვიცით, რომ თავის შვილებს
ერთგვარათ უვლის და ქონებასაც
ყველას თანასწორ გაუნაწილებს.

ახლა გავშინჯოთ მღვდლების სიმართლე;
მამობას მეფე რა გვართ გვიწევს?
შეწვენის ნაცვლათ ჩვენს ნაშრომს გვტა-
ცებს
მძარცველთა ზნეობას ყოველ მხრივ
გვისევს.

თუ მეფე იყოს სუყველას მამა, —
მისი ბრძანებით ასე რათ ხდება,
ვინც სულ უქმათ ზის, ის მაძლარია,
ვინც ღლე-ღამ შრომობს, — შიმშილით კვდება?!
არ გვინდა მეფე, არც მის „მამობა“!
კმარა მონობა, კმარა შიმშილი;
ძმებო აღსდგეთ, მტრებს შევემტოლოთ,
ან განმარჯვება და ან სიკვდილი!!

სოქვეს და ეკვეთენ მუქთა ხორა მტრებს
და სადაც ძალით ვერ გაუმკლავდენ,
ხალხის გმირებმა იქ ხერხს მიმართეს:
დიდსა მტარვალებს ჩუმ-ჩუმათ ჰკლავდენ.
მშრომელი ხალხის გამოსარჩლებას
თავი შესწირა მრავალმა გმირმა;
ვერ შეაშინა ციხემ, კარტორღამ,
ვერც სახრჩობელამ, ვერცა ციმბირმა.

III

აგერ, სამხედრო გასამართლება
ელის ვაჟაცსა ამაყად მდგარსა;

მსაჯულთ სიტყვებზე და მათ კითხვებზე
სდუმს და არ ამხელს სახელს და გვარსა.

არც ამხელს იგი მის ამხანაგებს,

თუმცა უბძანეს მათი გაცემა;

თუმც მრავალ გვარათ სტუქსეს დასტანჯეს,

ვერ შესძლეს მისი სულით დაცემა,

რადგან საჩქაროთ მის ჩამოღრჩობას

იქვე ბრძანებდა სამხედრო წესი,—

ჩამოხრობის წინ „საზიარებლათ“

მსწრაფლ საიდგანდაც გაჩნდა ზუცესი.

მაგრამ ზუცესიც ვერაფერს გახდა;

თუმც საპირფერო მისცა კითხვები,

გმირმა-კი აქ მღვდელს მწარე დაცინვით

შესაფერისი ჰკადრა სიტყვები.

— შეილო, სწორა სჯობს სთქვა აღსარება,

რომ სულიც სწორა ამოგივიდეს;

რადგან ღმერთმა ის სწორა შთაგებრა,—

ღმერთთანვე სწორა უნდა მივიდეს.

— მღვდელი, თუ მართლა ჩემ სულზე
ზრუნავ;

ამაზე მოგცემთ მე რჩევას ერთსა:

თუ ჩემი სული ღვთის სულათა გრწამსთ,

გსურთ ისევ სწორა ჩაბარდეს ღმერთსა,—

თოკს ნუ წამიჭერთ ყელში, თორემ იქ,

პირისაკენ სულის გზა შეეკვრება,

როცა კანონით კაცს სიკვდილს უწყევტთ,—

ნუ თუ არ არის თქვენთვის სულ ერთი;

დახრჩობის ნაცვლათ სხვა გვარათ მოჰ-

კლათ:

ტყვია იხმაროთ, თუნდ თავ-საკვეთი?!

და რაკი ახრჩობთ,— განგებ სჩადიხართ:

მით სულის წაბილწავთ და შეურაცხყობთ.

ზიარებით კი, ამავე სულზე,

რომ თქვენ ზრუნავდეთ, ვერაფრით გატყობთ!..

იქნებ სთქვათ: ხორცს რგებს ზიარებაო.

სტყუევით და სტყუევით მით უარესათ,—

აქ ხორცზე ზრუნვა საიდანა სჩანს,

როცა მას აქცევთ მძოროთ და ლეშათ?!

მაშ რას თვალთმაქცობთ? დღეს თქვენ ვისა

სთვლით

ისე ბრაცვით და ისე უკუკოთ,

თქვენს ბილწ სურვილებს „ღვთიურ წესს“ არ-

ქმევთ,—

ამით გსურთ ხალხი კიდევ ატყუოთ?!

ხალხს უწინდულთა აღარა სძინავს;

ის შურს იძიებს: მტარვალთ შემუსრავს,

ის თქვენს მზაკვრობას კარგათა ჰხედავს

და თავის ბედს კი თვით გამოსჰქედავს.

მაგრამ ვაჰ-მე, რომ მათთან არ მაკლით

დაფრჩე, მეც ვიგრძნობ შეება და ღზენა;

მახრჩობთ და მგზავნით „იმ ქვეყნისაკენ“,

რომელიც თავითონ არა გრწამთ თქვენა!..

V

გათენდა დილა ბურუსიანი,

ძალზე ჰყინავდა,— იყუა ზამთარი,—

ხახრჩობელაზე დაკიდებულ გვაშს

აქანავებდა გიჟმაჟი ქარი.

გმირსა წამებულს გლოვობდა ხალხის

ხალხი თვით ჭმირის წარმომშობელი;

სახეზე ყველას ღრმით აღბეჭდოდა

შურის ძიება დაუნდობელი.

ქარი კი კვალად მძლავრად ზუოდან;

თითქოს გმირისთვის სწუხდა, ჰგოდებდა;

შურის ძიება! შურის ძიება!..

იგიც თითქოს ხალხს მოუწოდებდა...

ფონ-ტეფო.

ზ ა ტ ა რ ა ფ ე ლ ე ტ ო ნ ი .

რევოლიუცია.

რევოლიუციის საუკუნეში ვცხოვრობ და გუშინ-
დღამდე მე იგი არ მენახა.

წაკითხვით ბევრი წამიკითხავს და დაწერილაც
ერთობ მრავალი დამიწერია შესახებ რევოლიუციისა.

მართალი მოგახსენოთ ნახვით არც გუშინ
მინახავს ის მარად სანატრელი რევოლიუცია. არ
მინახავს იმიტომ, რომ ჩემს ამხანაგებს ის ღამით
მოეხდინათ.

კონსტანტინე შალიკიაშვილი (თუ გვარი არ
მეწოდება) ყოველთვის ექვის თვალით უყურებდა
ყველაფერს ღამით გაკეთებულს. ასე წარმოიდგინეთ
მაცხოვარის აღდგომაშიაც კი ექვი შეჰქონდა და
ამ თავის ექვს ასე ასაბუთებდა.

— ყმაწვილო, თუ ღმერთი იყო და ადგომა კი შეიძლო, რაღა შევალამეზე წამოდგა იგი მამაცხონებული? ავღგებოდი დღე ათ—თერთმეტ საათზე დიდკაცურათ. ყველა დაინახავდა და კიდევაც დაუჯერებდა.

მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, ვითომც 29 ნოემბრის რევოლიუციაში ეჭვი შემქონდეს, არა, მე მხოლოდ მეწყინა, რომ რევოლიუცია სწორედ იმ ღროს მოახდინეს, როცა მე ღრმა ძილში ჩაფლული მშვენიერ სიზმრებს ვხედავდი. ეს ქეშმარიტათ სასაყვედუროა!

მაგრამ რევოლიუცია 30 ნოემბერსაც გაგარძელდა. მე პირდაპირ ვერ ვიცანი თფილისის ქუჩები: სრული თავისუფლება: არც ნაცნობი, აღარც უცნობი.

პირველს ტრამვაიშივე თავისუფალი ადგილი ვიშოვე და მთელი გზა ისე გავიარე, რომ მეხუთე არავინ ჩამოგვეჯდომია. სწორეთ ახირებული ამბავი მოხდა.

ჯერ კიდევ დილაა. აი რამოდენიმე ცნობის მოყვარე და თავგადაღებული ახალგაზდა (ერთი იმათგანი ჯარისკაცია) მიმდგარან ღობის ქუქურუტანასთან და არსენალისკენ იცქირებიან. მართლა ეს ღობე ვერის დაღმართზეა, მაგრამ ტყვია აღმართსა და დაღმართს ხომ არ არჩევს.

— მოშორდი, ძმობილო, იმ ღობეს, რაიმე მარცხი არ მოხდეს. ტყვია მართალსა და მტყუნს როდი არჩევს. შენიშნა ერთმა ამგლეღმა და ცალი თვალით თითონაც გაიხედა მეორე ქუქურუტანიდან.

გასაოცარი ხალხია! მართლაც იქ არიან მიჩერებული საღც ფიცარსა და ფიცარს შუა ქუქურუტანა დატოვებული. ტყვია რო გამოვარდეს სწორეთ შიგ თვალში სოხვდება და სათვალეს ჩააბტვრევს. მე შენ გითხრა თუ ახალი სათვალე იშოვე, იაფად არ იშოვო!

გოლოვინის პროსპექტზე სიცოცხლე სდულს და გადმოსდულს. აი აქ—აი იქ, მარჯვნივ და მარცხნივ სდგას მოქალაქეთა ჯგუფები და მსჯელობენ მომენტის შესახებ, ვიდრე მათ მილიციონერი არ გაჰფანტავს. ქუჩის კუთხეებიდან კვლავ არსენალს გაჰყურებენ.

დიდებული სანახაობაა! სამხედრო ქუჩაზე ბარიკადაა გადაჭიმული. ფოსტა—ტელეგრაფს იცავენ. ქუჩის არდი—გარდმო. ორი ყუთი სდგას და

შიგ რაღაცა ჰყრია. ავტომობილი ავტომობილს მისდევს. ზოგი აღმა აღის, ზოგი ზევიდან დაღმა ეშვება. შიგ სულ სამხედრო პირები სხედან და თოფები მშვენივრათ გადმოუწყვიათ. თითველ მთვანს სახეზე გვირული გაბედულებისა და სიღინჯის ბეჭედი ახის. ზოგიერთს რევოლვერიც ხელში უჭირავს და პატრონებით მკერდი მოუქარავს.

აი ერთი ჯგუფი ჩვეულებრივი პატიოსანი ხალხისა. მე ესენი არასოდეს ამ მდგომარეობაში არ მინახავს. მზარზე თოფები უწყვიათ და სასახლისკენ მიეშურებიან.

— შეხედე, ლადო, შეხედე აი წითელი გვარდია მიდის... ჩასძახა ვიღაც მოქალაქემ მეორეს.

მე განცვიფრებული დავრჩი. ნეტავ რისთვის ჰქვია ამათ „წითელი გვარდია“, როცა რომ არც გვარდიასა ჰგავს და არც წითლად აცვია.

სასახლის მოედანი გაკრულია. ქეშმარიტათ სასახლის შეხედულობა ახლა აქვს ამ ყვითელსა და უზარმაზარ შენობას. რიგი ავტომობილებისა მოდის, რიგი მიდის, სასახლეში მოწმობებით უშვებენ.

არსებითად რევოლიუცია უკვე გათავებულია, მაგრამ ინერციულად მოძრაობა კვლავ სწარმოებს განსაკუთრებით ეს ეტყობა ავტომობილებს. იმათ გაჩერება არც ისე ადვილია.

— გამოვიდენ... მადლობა ღმერთს, დაბოლო ეშველა და გამოვიდენ... ამბობს ერთი მოხუცი.

— ვინ გამოვიდა, ძაჯან? ვეკითხები მე.

— ვინა და ზალშვეიკები, ჩემო კარგო.

— საიდან გამოვიდენ?

— არსენალიდანო, ამბობენ. მართალი არ ვიცი.

სხვების აზრით არსენალიდან მენშევიკები გამოვიდენ და არა ბალშვეიკები. ერთი სიტყვით ნამდვილი რევოლიუციაა! არსენალი თურმე უსისხლოა: აიღეს; სწორეთ ისე, როგორც რთსეთის დიკ რევოლიუცია უსისხლოთ დაიწყო.

მორიელი.

რას ნიშნავს ეს?

ქუთაისის გაზეთებს თუ დაუჯერებთ, ადგილო-
ბრივ ახალგაზრდობას განუზრახავს გამართოს—
სოლომონ ზურგიელიძის საღამო.

ჩვენ უნებლიეთ ვკითხულობთ:

— ვინ არის ეგ ახალგაზრდა, ან რამ აიძუ-
ლა ისინი, რომ ნეტარსენებულ მგოსანს სამა-
რეშიაც არ ასვენებენ?

ქეშმარიტად აღსრულდა მგოსნის თქმულება:

„გამწვევენ და გამომწვევენ
სამარეში ჩამარხულს,
შეპარცხევენ შერცხევიან
მაგრამ ფულს კი ადებენ.“

მე იმედი მქონდა, რომ თუ ასეთ გაბედულ
ნაბიჯს კი გადასდგამდა ქუთაისის პოეტური დემო-
კრატია, ჩვენს მხატვარს მ. ქიაურელს, რომლის
მადლიან კალამს ეკუთვნის მისი სახის ქაღალდზე
გაღატანის ბედნიერება, გვერდს არ აუხვევდნენ. მაგ-
რამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც იმედი
არ გაგვიმართლდა. დამსახურებული მხატვარი აღე-
ღვებულია იმ გარემოებით, რომ ქუთათურებს
ჩვენი სათაყვანო მგოსანი სათვალეებით დაუხატავთ.

სოლომონ ზურგიელიძე და სათვალეები! სი-
რცხილი მათ, ვინაც ეგზომ დაამახინჯა ჩვენი
წმინდათა წმინდა მგოსნის სახე, რაღაც შეუფერე-
ბელი ქიქის ფირფიტების ცხვირზე ჩამოცმით. ოჰ
უმცარნო, იცით კი რასა შევებით? რაღას უტდით,
ბარემ აიღეთ და ცილინდრიც დახუროთ იმ ღი-
რსეულ თავს, რომლისგანაც ამდენი წმინდა ერო-
ვნული მარგალიტი აზრები წირმოიშვა, ჩვენ აღა-
რც ეს გაგვაკვირებს. ქეშმარიტად, რომ მხოლოდ
ქუთათურ მხატვრებს შეეძლოთ მგოსნის ასე აბუ-
ჩათ ავლება, მაგრამ გახსოვდეთ ვაჟბატონებო, რომ
ამითი თქვენ თქვენს თავს იწყებლავთ, ვინაიდან
თქვენ იგივე სოლომონები ხართ, რასაკვირველია
მცირე მასშტაბით.

ვფიქრობ, ვფიქრობ და ჯერაც ვერ მივმხდა-
რვარ, თუ რისთვის დასკირდა ამ ხალხს მიცვალე-
ბულის სცენაზე გამოყვანა და თუ მაინცა და მა-
ინც ეს აუცილნებელი იყო, რათ დაადგეს ცხვირზე
სათვალეები, რათ? ვინც არ იცის, რომ სიკვდილის
წინა დღეებშიაც სოლომონს განსაცვიფრებლათ

შორს მქერტელი თვალები ჰქონდა. სარეცელზე
მწოლარემ შენიშნა შორს, ხის ტოტზე შემოშვდარი
ორი ფრთოსანი და სთქვა:

„ორი მტრედი ჩემს ეზოში
ხშირ-ხშირათ ღიაჩება
თუ მეტათ არ გებრადებით
აბა რაღა გამოვიდა?“

და აი ამის დამწერს ქუთათური მხატვრები
ურცხვად სათვალეებს უკეთებენ. დროა ვისწავლოთ
ჩვენთა ძველთა სიყვარული და პატივისცემა, დროა.

მთელი რედაქცია „მშმაკის მათრახისა“ უდი-
დეს პროტესტს აცხადებს და მოითხოვს დაუყონე-
ბლოვ მოხსნილ იქმნას სათვალეები სოლომონ ზურ-
გიელიძის ცხვირიდან, როგორც ბურჟუაზიული და
შეუფერებელი სამკაული.

ეშმაკი.
მორიელი.
კოლო.
ისტორიკოსი.

კახეთიდან.

სოფელ ახმეტას წაველი,
მოვმართე ჩემი ნალარა,
იქ პური უნდა მეყიდნა,
გავკვებლიყოვ ზამთარა.
მაგრამ თქვენ მტერსა, იმათა
სხვა სენი გადასდებიან!..
პურს აღარავის ატანენ,
ეს უგონობა რგებიან.
საწყალსა გლეხებს ეყიდათ
კოდობით სამ-სამ თუმნათა
(ნაკლები გადმოუყარეს
დარდების განსაკურნათა)

ავდექ, დავბრუნდი ქისტაურს...

სოფელი არის ნაქები,
მაგრამ იმათაც დამიწყეს.
მკვანე მუქარა, ბაქები...

ჩამოვიარე ოსებში,
ყველა შემძვრალა ბოსელში,
იქ ვიყიდვეი სიმინდი,
ვსთქვი ვავიტანო ოზერში,
რო მოვატანე ხოლაშენს,

თქვენ მტერსა დაპმართები...
 იქ დამხვდენ კომისარები
 თავადნი: სანდრო, ილია.
 წამართვეს ჩემი სიბინდი,
 ყური არ უგდეს ხვეწნასა.
 გამომისტუმრეს ცარიელ,
 ერთობას ვფიცავ ზეცასა.

წამოველ გამწარებული,
 მუქართა და ბუღუნით.
 ვიფიქრე: გულსა გავირობო.
 ბაპიროზი და თუთუნით.
 კოპერატივს მივადექ
 ტირილითა და წუწუნით,
 ვუთხარ: გიორგი, გენაცვა,
 უნდა გამმართო თუთუნით.
 ფულსა ხო ფულათ აიღეფ
 სიკეთეს გიძღვნი გუგუნით.
 მითხრა: რაგიყო ძმაცყო,
 ხედავ არ არის თუთუნი,
 ასე დაიწყო გიორგიმ
 დიდი წყრომა და წუწუნი.
 ვუთხარ: გიორგი გეთაყვა
 ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს,
 ხედავ რა დღეში ჩავარდი
 როგორ უღმერთოთ გამწირეთ;

ადექ, მივადექ იყალთოს,
 კანცერლარია ჩვენია,
 თურმე ნუ იტყვი, იქაცა
 მწყრლათ ყოფილა დღეღლია.
 ვუთხარ: მამაო, გვაკურთხე,
 შენდობა, მომე ხელია,
 მოგესენებათ შიმშილი
 რა მწარე, რა რივ ძნელი!
 ცოტა ბარათი შიბოძე
 სიბინდის ვბოვო ფქვილია,
 თორემ შიმშილმა გენაცვა
 გამიწყო წვრილი შვილია.
 — თქვენი სამწერლო არ მახსოვს,
 ამ ლექსით მითხრა წვერამა...
 ცეცხლზედან ნავთი დამისხა
 უბედურ ზედისწერამა.
 ჩამოვეცალე სულუყველას,
 თავი ამოვყავ თელავსა,
 შიმშილი გადაჰკიდა
 დიდსა, პატარას, ყველასა...
 აწ რალა მეთქმის ბეჩავსა,
 სხვა გზა სადა მაქვს სავადი,
 მეც აქ დავრჩები სად ჩემებრ
 მშიერი ვნახე მრავალი.

სევთუბნელი

შერილი ეშმაკის ნათლია თროკოტან.

ჩქიმი ჯიმა ოჩოკაჩი!

სენაკში არცერთი კომიტეტი არ დარჩენილა,
 რომ შენზე არ ქონოდათ მსგელობა, მაგრამ ეშმა-
 კის წყალობით ვერცერთმა ვერ მოახერხა შენი სა-
 წინააღმდეგო რეზოლიუციის გამოტანა. შენი აქე-
 დან წასვლა ყველას ძლიერ ეწყინა, მაგრამ იმედია
 მალე გნახავ. აქვთ ახალი არაფერია, ლაპარაკობენ
 — ძველს ახალი სჯობია!

ყრუაშვილს „ჩიმიასქნებამ“ გასკრა და ჩოხები
 თავის მალაზიაში დააწყო.

ლორები ისევ თავისუფლათ დათარეშებენ ქა-
 ლაქის ბაღში და კავალერ-ბარიონები სადგურზე.

ღვინო არ არის ქალაქში, მაგრამ მთვრალები
 აუარებელია.

შეიძლება მანდ ვინმეს კალოში აკლდეს, გამო-
 გზანე აქეთ; ჩვენთან კალოშები აუარებელია.

დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩინებულათ
 ჩატარდა მთელ მაზრაში: გარდა ლუარსაბ თავდ-
 გირიძის მონათესებისა, ყველამ პირველ ნომერს
 მისცა ხმა.

ხმები, თითქო ბალშევიკებს აეღოს სამეგრე-
 ლოს სატახტო ქალაქი — ზუგდიდი, სიმათლეს მოკ-
 ლებულოა. იქმშვიდობიანათ განაგძნობს აგიტაციის
 ჩვენი საყვარელი ამხანაგი ალექსანდრე ჩიქავა (თუ
 გახსოვს ეს ის ალექსანდრეა, რომელმაც პირველ
 ყრილობაზე საქმე გაუქირა ამხ. თავმჯდომარეს
 ნოე რამიშვილს. აკი შენ გინდოდა მისი მოხაზუ-
 ლების გადგანა და ვერ მოასწარი. იმდენათ სწრა-
 ფია იგი.)

მცხოვრებთ დაურიდდათ ჩითეულების მისაღები
 ბარათები, მაგრამ ჩითეულობა არ აღმოუჩნდათ
 მალაზიაში ვაჭრებს.

აკოცე ეშმაკს!

მარად შენი „ტყაშმაფა“.

„კინალამ დამავიწდა: პეტრე და ნიკო ბაღში-
 ვიკებს მიემხრენ, როგორც ისმის, მათ საბჭოს
 კრებაზე მოითხოვეს სასურსათო კომიტეტების გაუქ-
 მეება და თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადება მხო-
 ლათ იმ საქონელზე, რომელიც შემოდის“.

ტ.